საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ60. 602327018**

თარიღი:**27/09/2023**

ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გურამიშვილის ქუჩაზე
მდებარე უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის
ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა'' და ,,ე.ე'' ქვეპუნქტების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 57-ე მუხლის, 180-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტის, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 სექტემბრის ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2023 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' N144 და ,,ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2023 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' N145 განკარგულებების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ხონი, გურამიშვილის ქუჩა N34-ში მდებარე 1982.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 37.07.38.004) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი – 295.41კვ.მ) პრივატიზების შესახებ, საწყისი საპრივატიზებო ღირებულებით - 75000.0 (სამოცდათხუთმეტიათასი) ლარი.
2. დაევალოს ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურს (ხელმძღვანელი: ი.ჟორჟოლიანი) უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).
4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი